

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
ხ ი დ ი - 2 0 0 6

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლების ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ხიდი-2006
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	3 346 223	1 831 801
სხვა შემოსავლები		35 592	437 921
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		68 229	225 559
მარაგის შეძენა		(1 906 289)	(1 390 336)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(419 703)	(283 914)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(667 479)	(592 621)
შემენილი მომსახურების ხარჯი	5	(474 128)	(373 256)
საგადასახადო ხარჯი		(109 991)	(111 812)
სხვა ხარჯი	6	(18 509)	(27 394)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(146 054)	(284 054)
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		85 080	(2 674)
ფინანსური ხარჯი		(83 488)	(423 593)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(144 462)	(710 321)
მოგების გადასახადი		(1 220)	(1 824)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(145 683)	(712 145)

დირექტორი: ჯუმბერ ჭყონია

ბუღალტერი: გოჩა ქათამაძე




შპს ხიდი-2006
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7 12 631 043	11 733 962
არამატერიალური აქტივები	32 469	38 635
სულ გრძელვადიანი აქტივი	<u>12 663 512</u>	<u>11 772 598</u>
მიმდინარე აქტივები		
მარაგი	8 398 821	368 131
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9 2 011 316	635 037
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	10 200 527	97 732
სულ მიმდინარე აქტივები	<u>2 610 664</u>	<u>1 100 900</u>
სულ აქტივები	<u>15 274 176</u>	<u>12 873 497</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	17 191 894	13 613 078
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(2 890 402)	(2 744 720)
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>14 301 491</u>	<u>10 868 358</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	1 087 126
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>-</u>	<u>1 087 126</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11 851 402	771 447
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	121 283	146 566
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>972 685</u>	<u>918 013</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>15 274 176</u>	<u>12 873 497</u>

დირექტორი

ჯუმბერ ჭყონია

მთ. ბუღალტერი

გოჩა ქათამაძე




შპს ხიდი-2006

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება- ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2020 ნაშთი	10 855 766	(2 034 401)	8 821 365
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	2 757 314	-	2 757 314
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(710 321)	(710 321)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2021 ნაშთი	13 613 080	(2 744 722)	10 868 358
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	3 578 815		3 578 815
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(145 683)	(145 683)
გაცემული დივიდენდი			-
31.12.2022 ნაშთი	17 191 895	(2 890 404)	14 301 491

დირექტორი

ჯუმბერ ჭყონია

ბუღალტერი

გოჩა ქათამაძე




შპს ხიდი -2006

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 662 229	2 232 274
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3 036 288)	(3 127 797)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(282 999)	(204 420)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>342 943</u>	<u>(1 099 943)</u>
გადახდილი გადასახდები	(428 163)	(129 407)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	<u>(85 220)</u>	<u>(1 229 351)</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>(85 220)</u>	<u>(1 229 351)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(2 308 406)	(570 853)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	3 578 915	2 757 314
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>1 270 509</u>	<u>2 186 460</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის ძირის გადახდა	(1 009 061)	(742 050)
სესხის პროცენტის გადახდა	(76 222)	(120 920)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	2 790	3 279
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-	(2 085)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1 082 493)</u>	<u>(861 777)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	<u>102 796</u>	<u>95 333</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>97 732</u>	<u>2 399</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>200 528</u>	<u>97 732</u>

დირექტორი

ჯუმბერ ჭყონია

მთ. ბუღალტერი

გოჩა ქათამაძე




ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ხიდი-2006 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, საწარმოს იურიდიული მისამართი არის, ბათუმი, რუსთაველის 34, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი, რუსთაველის 34. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება. ქონების იჯარით გაცემა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის გავლენა საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე განმარტებულია შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობები	-1,3 -5 %
- მანქანა დანადგარები	-10-15%
- საოფისე აღჭურვილობა	-20-50%
- ავეჯი და მოწყობილობები	-15-35%
- სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების

ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებულ პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3 346 223	1 831 801
	ჯამი	3 346 223	1 831 801

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	სატრანსპორტო მომსახურება	6669	508
2	საიჯარო მომსახურება	57705	57705
3	კომუნალური მომსახურება	204299	125522
4	კომუნიკაციის ხარჯი	6908	1849
5	საკონსულტაციო ხარჯები	103045	76893
6	სხვა მომსახურების ხარჯი	95502	110778
	ჯამი:	474128	373256

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18509	27394
	ჯამი:	18509	27394

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
1	მიწის ნაკვეთები	1 851 056	-	-	1 851 056
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	5 000	354 515	1 325 344	975 829
3	შენობა ნაგებობები	8 459 297	1 405 526	-	7 053 771
4	მანქანა-დანადგარები	925 270	337 514	2 033	589 790
5	ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 761 373	370 444	-	1 390 930
6	სატრანსპორტო საშუალებები	996 232	413 458	-	582 775
7	სარესტორნო აღჭურვილობა	994 069	4 286	-	989 784
8	სხვა	950	-	-	950
	ჯამი:	14 993 248	2 885 742	1 327 377	13 434 883

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2022	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
1	მიწის ნაკვეთები ცვეთა	-	-	-	-
2	დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა	255 932	86 662	-	169 270
3	შენობა ნაგებობების ცვეთა	232 351	63 491	-	168 861
4	მანქანა-დანადგარების ცვეთა	301 774	124 820	28	176 982
5	ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	743 565	205 784	-	537 781
6	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	259 704	74 365	-	185 339
7	სარესტორნო აღჭურვილობის ცვეთა	568 879	106 190	-	462 689
8	სხვა ცვეთა	-	-	-	-
	ჯამი:	2 362 205	661 312	28	1 700 921
	საბალანსო ღირებულება	12631043			11733962

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)					
	შეძენის ღირებულება	ნაშთი	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი
1	ლიცენზიები	46164			46164
2	სხვა არამატერიალური აქტივები				0
	ჯამი:	46164	0	0	46164

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2022	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
1	ლიცენზიების ამორტიზაცია	13695	6166		7529
2	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია				0
	ჯამი:	13695	6166	0	7529

	საბალანსო ღირებულება	32469			38635
--	-----------------------------	--------------	--	--	--------------

9. მარაგი

(ლარი)			
	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	შეძენილი მარაგი	1 906 289	1390336
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	368 131	142572
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	436 359	368130

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)			
	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	სავაჭრო მოთხოვნები	2011316	635037
	ჯამი:	2011316	635037

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	60862	10596
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	386	158
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	139279	64989
4	ნაღდი ფული სალაროში - უცხოური ვალუტა	0	21988
	ჯამი:	200527	97732

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	1087126
	ჯამი:	0	1087126

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	სავაჭრო ვალდებულებები	851402	771447
	ჯამი:	851402	771447

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 12 იანვარს.

დირექტორი:

ჯუმბერ ჭყონია

მთ. ბუღალტერი:

გოჩა ქათამაძე


